საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №109
2022 წლის 4 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის პირველი აგვისტოს №598 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 01/08/2012, 140130000.22.034.016122) დამტკიცებული წესისა და პირობების 38^2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგამოცდო მარშრუტზე მოძრაობის მიმართულება მძღოლობის კანდიდატს მიეთითება საგამოცდო ავტომობილში დამონტაჟებული ელექტრონული სისტემის ხმოვანი სიგნალით ან გამომცდელის მიერ. ამასთან, ხმოვან სიგნალსა და გამომცდელის მითითებას შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება გამომცდელის მითითებას. გამომცდელს აგრეთვე უფლება აქვს, მძღოლობის კანდიდატს მოსთხოვოს მოძრაობის ზოლის შეცვლა (გადაჯგუფება), სხვა სატრანსპორტო საშუალების გასწრება, საგამოცდო ავტომობილის გაჩერება და სხვა მოქმედებების შესრულება, ასევე მისცეს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპთან დაკავშირებული ორგანიზაციული, უსაფრთხოების უზრუნველმყოფი და ამ წესით გათვალისწინებული შესასრულებლად სავალდებულო სხვა სახის მითითებები. გამომცდელის მითითება უნდა იყოს დროული და მკაფიო.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 10 ნოემბრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — **ვახტანგ გომელაური**